ჩვენს განცხადებაზე № AR11083322 პირველ შუალედურ პასუხში მოგვთხოვეთ დარღვევით ნაწარმოებ შენობაზე საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა, რომელიც წარმოგიდგინეთ. ამავე განცხადების მეორე შუალედურ პასუხში გვთხოვთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კვლევის ანგარიშს, რომელიც მომზადებული იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით.

გვინდა ავღნიშნოთ რომ მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოვლენილი დარღვევები მხოლოდ აღნიშნულ (საპროექტო) შენობას ეხებოდა და გამოვლენილ დარღვევებს მომიჯნავე შენობასთან არ ჰქონია კავშირი. (აქტი წარმოდგენილია) ინსპექციის მიერ გამოვლენილი ხარვეზი წითელ ხაზებთან მიმართებაში აღმოვფხვერით და დემონტაჟი განვახორციელეთ ლითონის კონსტრუქციის ნაწილის.

შესაბამისად მომიჯნავე შენობების კვლევის ანგარიში მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით წარმოდგენას არ საჭიროებს.